ლაღი

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

19 მარტი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 49 (10 462) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„იბერია“ (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:0 (3:0).

თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 16 მარტი.

„იბერია“: ჩხეიძე, არზიანი, ცხადაძე, შელია, ჯიშკარიანი, ნემსაძე, ქეცბაია, ჩიქოვანი, კაპარავა, ჯამარაული (ყაველაშვილი), გოგიჩაიშვილი (ინალიშვილი).

„ალაზანი“: ჭუნიაშვილი, შუბითიძე, კევლიშვილი, წიქარიშვილი, ძნელაძე, პოზოიანი (ბარნაბიშვილი), ბაწაშვილი, ზაალიშვილი, ხოლოლაშვილი, თეთრაული, კობახიძე.

მსაჯები: მ. ჭელიძე, თ. ლაცაბიძე, ი. შალამბერიძე (ხამიევ — თბილისი).

„ალაზანი“ თითქმის მთლიანად განახლებული შემადგენლობით წარდგა თბილისელი მაყურებლის წინაშე — გუნდში რვა დებიუტანტია, რომლებზეც მწვრთნელები გარკვეულ იმედებს ამყარებენ. როგორც ალაზნელთა უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე არევაძემ გვითხრა, კლუბში ჯანსაღი ატმოსფეროა, ბიჭები თავს არ დაზოგავენ, რათა გაამართლონ ის ნდობა, რომელიც მათ რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციამ გამოუცხადა.

მატჩი თბილისელთა იერიშებით დაიწყო. ნათელი გახდა, რომ „იბერია“ დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდა და ასეც მოხდა: პირველ ტაიმში გატანილ სამ ბურთს სტუმრებმა ვერაფრით უპასუხეს...

მომდინარეობდა შეხვედრის მე-6 წუთი — კაპარავამ მშვენივრად „დაამუშავა“ ბურთი და გრძელი, დიაგონალური გადაცემით გარღვევაზე გაიყვანა ჯიშკარიანი. ამ უკანასკნელმა ოქრომჭედლის სიზუსტით გადააწოდა ბურთი ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ქეცბაიას, რომლის თავით დარტყმული ბურთი მიზანს აღწევს — 1:0. მე-20 წუთზე კაპარავამაც ზუსტად დაარტყა თავით და ანგარიში ორამდე გაიზარდა. არც ამის შემდეგ შეუნელებიათ იერიშები თბილისელებს, მაგრამ სტუმართა კარის აღება მხოლოდ ერთხელღა შეძლეს — ჯიშკარიანთან მეკარის უხეში თამაშისთვის თერთმეტმეტრიანი ზუსტად დაარტყა გოგიჩაიშვილმა — 3:0.

მეორე ნახევრის დასაწყისში თბილისელები ოდნავ მოდუნდნენ და სტუმრებმაც რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს. განსაკუთრებით აქტიურობდა თეთრაული, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე ორივე გუნდის ფეხბურთელთა შორის. თანავუნდელები, რომ მისაოვის ბალი აეგათ, „ალაზანი“, ალბათ, ამ მატჩს დიდი ანგარიშით არ წაგებდა.

ზაზა კახაძე
ა.კოტორაშვილის ფოტოები.

ჩემპიონატის სხვა მახალები იხილეთ მე-3 გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფერენდუმის წინ

ქველას მოგინოდებთ!

თბილისის საექიმო ფიზკულტურის № 1 დისპანსერის თანამშრომლებმა ერთხმად გამოუცხადეთ ბოიკოტი 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმს, ცენტრის ამ მორიგ ფანდს. ასევე ერთხმად გადავწყვიტეთ მონაწილეობა მივიღოთ 31 მარტის რეფერენდუმში.

მოვუწოდებთ ჩვენს კოლეგებს, ყველა ქართველს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ერისა და ხალხების წარმომადგენლებს 31 მარტს ხმა მივცეთ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, რადგან „... იქ ყველა გვიადვილდება, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი“.

მამუკა ვირუბოვი.
მთავარი ექიმი, დოცენტი.

ნონას გამარჯვებით...

იუგოსლავიაში ქალთა ხაერთაშორისო ტურნირი მსოფლიოს ექსჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილს გამარჯვებით დამთავრდა — 6 ქულა 9 შეხვედრიდან. სასიხარულოა, რომ მეორე ადგილიც ქართველ მოჭადრაკეს ხვდა — ქეთევან კახიანმა 5,5 ქულა მოაგროვა. III-V ადგილები ხუთ-ხუთი ქულით გაიყვეს კოიხკამ (ბულგარეთი), ბოკარიმ (საბერძნეთი) და მარიან მარიჩმა.

მატჩის შემდეგ

გიორგი ბაქანიძე:

თქვენ მეკითხებით, როგორი შთაბეჭდილება დატოვა „ალაზანმა“. მოკლედ გიპასუხებთ — კარგი. ეს გუნდი, განსაკუთრებით მატჩის მეორე ნახევარში მომეწონა. დაიხსომეთ, უმაღლესი ჯგუფის ბევრ გუნდთან გურჯაანელები წარმატებით ითამაშებენ.

ახლა მსაჯობის შესახებ. სასაყვედურო არაფერია. ჩემპიონატის წინ ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით, ლესელიძეში ვხელმძღვანელობდი არბიტრების საგანგებო შეკრებას. შეკრება ნაყოფიერი გამოდგა. წლეულს უთუოდ უკეთეს მსაჯობას ვიხილავთ.

გუშინ ვესაუბრეთ ეროვნული სტადიონის დირექტორს ვაჟა ულენტს. გვაინტერესებდა ლატარიის გათამაშებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი.

● **რამ გამოიწვია მაყურებელთა აღშფოთება მატჩის შემდეგ?**

— მაყურებელთა გადაწყვეტილება ზღვარს გასცილდა, როცა ლატარიის გათამაშებისთანავე კომისიასთან არც ერთი ბედნიერი ბილეთის მფლობელი არ გამოცხადდა, ცოტა მოგვიანებით გაირკვა, რომ ორმა გულშემატკივარმა მოიგო უცხოური ავტომანქანა, აღტაცება, კი ვერ გამოხატეს შექმნილი არეულობის გამო.

● **მათი ვინაობა თუ იცით, ვინც მოიგო მანქანა?**

— ერთი მათგანია ვაჟა იაკობიძე ჯანელიძე, მისამართი — თბილისი, კახიანის, 11. მუშაობს, როგორც თავად თქვა, გლდანის სასურსათო ვაჭრობაში საქონელმცოდნედ. მეორე — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია — კახაბერ ომარის ძე მაღრაძე. მისი მისამართია, თბილისი, დეპოს, 2.

● **რამდენი ბილეთი გაიყიდა?**

— 75 ათასი.

● **გამოდის, რომ სამი „იღბლიანი ბილეთი“ იმ დარჩენილ 25 ათასში მოყვა, რომელიც არ გაიყიდა.**

— დიახ.

● **განადგურდა გაუყიდავი ბილეთები?**

— რა თქმა უნდა.

● **ხომ შეიძლება, სტადიონზე გამოეცხადებინათ, რამდენი ბილეთი გაიყიდა და რამდენი განადგურდა. ვალდებულიც იყავით.**

— უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ იცით, მატჩი დაგვიანებით დაიწყო — გურჯაანელ ფეხბურთელებს სპორტული ფორმის მოტანა დაუგვიანეს. ასევე „იბერიამ“ გაუმართა ხელი, მე მატჩის ჩაშლის საშიშროება მაღელვებდა და ვეღარ მივაწყვდინე ხმა, რომ გამოეცხადებინათ გაყიდული და გაუყიდავი ბილეთების რიცხვი. ეს კომისიას თავადაც უნდა გაეკეთებინა.

● **კიდევ ხომ არაფერი გაქვთ სათქმელი?**

— გულშემატკივრებს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ პატივისცემა ორმხრივი უნდა იყოს.

საგარეჯოელი ფალავანი — მემორიალის ჩემპიონი

მოსკოვის უნივერსალური სპორტული დარბაზი სამ დღეს მასპინძლობდა ანატოლი ხარლამპიევის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამბისტთა საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც საბჭოთა ათლეტების გარდა მონაწილეობდნენ გერმანიის, იტალიის, კუბის, მაროკოს, მონღოლეთისა და სეიშელის კუნძულების მოჭიდავეები. წარმატება, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა ასპარეზობაში, შეჯიბრების მასპინძლებს ხვდათ.

განსაკუთრებით პრესტიჟულ, მძიმე წონაში პირველი ადგილი და მთავარი პრიზი საგარეჯოელმა კობა კუპატაძემ დაისაკუთრა. ეს უდავოდ ნიჭიერი მოჭიდავე ბოლო დროს საიმედოდ იმკვიდრებს ადგილს უძლიერეს სამბისტთა შორის.

წონითი კატეგორიების მიხედვით ხარლამპიევის მეცხრე მემორიალის ჩემპიონები გახდნენ: რუდოლფ კიმი (ბეკაბიდა), აიბატირ მახმუტოვი (ალმა-ათა), მუშფაგ ჯაფაროვი (ბაქო), კონსტანტინე ტროიანოვი (მოსკოვი), ალექსანდრე ტროფიმოვი (ჩებოქსარი), რაფიკ ისმაილოვი (ბაქო), იგორ კოშკინი (ბენდერი), ფურკატ სოლიევი (ბუხარა), ოლეგ ბაიდინი (ტა-



შკენტი) და „ობა კუპატაძე (საგარეჯო).

ქალთა ტურნირში გამარჯვება მოიპოვეს: გალინა ატაევამ (მარი), ინა მაშკოვამ (ომსკი), მარინა ნევდაშენკომ (კიევი), იულია სიდოროვამ (მოსკოვი), ოლგა მატვეევამ (სამარა), ირინა ბარაბულკინამ (ლიპეცკი), ელენა რიბალკინამ (დონეცკი), ირინა ორლოვსკაიამ (მოსკოვი) და ალა ბიჩენკომ (მინსკი).

სურათზე: კობა კუპატაძე.

კალათბურთი

ვინ არის შემდეგი?

ნბა-ს კალათბურთელთა ლიგის ჩემპიონატზე „პლეი-ოფ“-ის სერიების კიდევ რამდენიმე მონაწილე გამოვლინდა. როგორც ვიუწყებოდით, ერთი კვირით ადრე ეს უფლება მოიპოვეს „ბოსტონმა“, „ჩიკაგომ“ და „პორტლენდმა“. ახლა მათ შეუერთდა წყნარი ოკეანის დივიზიონის კიდევ ორი კლუბი — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ და „ფენიქსი“.

„ლეიკერსს“ მეტად ძნელი ბრძოლა ჰქონდა შუა-დასავლეთის დივიზიონის ერთ-ერთ ლიდერთან, „სან ანტონიოსთან“. ლოს-ანჯელესის გუნდმა გაიმარჯვა (98:91) და მიიღო კიდევ მეორე ეტაპზე თამაშის უფლება. რაც შეეხება „ფენიქსს“, „პლეი-ოფ“-ის საგზური მას „ატლანტასთან“ გამარჯვებამ მოუტანა — 128:116.

საერთო ყურადღებას იპყრობს იმ გუნდების გამოსვლა, რომლებიც მეორე ეტაპზე თამაშის შანსებს ინარჩუნებენ. ამ მხრივ საგულისხმო იყო „იუტას“ გამარჯვება „სიეტლთან“ 104:98 და „ჰიუსტონისა“ — „გოლდენ სტეიტთან“ 123:119.

მას შემდეგ, რაც გაინაღდა თამაში „პლეი-ოფ“-ის სერიებში, წარუმატებლად გამოდის წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერი „პორტლენდი“. ერთხანს მას აბსოლუტურად საუკეთესო პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა ოთხივე დივიზიონის გუნდებში, ახლა კი ამ მხრივ „ბოსტონმაც“ გაუსწრო და „ჩიკაგომაც“. „პორტლენდმა“ ბოლო ტურის მატჩი დათმო „ლოს-ანჯელეს კლიპერსთან“ — 97:107.

ეს-ესაა შემოვიტანეთ...

პროცენტული მაჩვენებლებით პირველ ადგილზეა „ჩიკაგო“ (762 პროცენტი), მეორეზე კი „ბოსტონი“ (742 პროცენტი). „ჩიკაგომ“ მორიგ ტურში „კლივლენდი“ დაამარცხა (102:98), „ბოსტონმა“ კი „ფილადელფია“ — 110:105 (ეს მატჩი მიმმზილველებს განვლილი კვირის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩად მიაჩნდათ).

გთავაზობთ სხვა შეხვედრების შედეგებს: „დეტროიტი“ — „ორლანდო“ 106:99, „ნიუ-ჯერსი“ — „ვაშინგტონი“ 110:86, „გოლდენ სტეიტი“ — „დალასი“ 117:105, „საკრამენტო“ — „სან ანტონიო“ 92:85, „მილუოკი“ — „ნიუ-იორკი“ 102:101, „მინესოტა“ — „მაიამი“ 90:87, „ინდიანა“ — „დენვერი“ 130:42, „შარლოტა“ — „ნიუ-ჯერსი“ 121:108.

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტის დივიზიონი

	მ.	წ.	%
„ბოსტონი“	49	17	742
„ფილადელფია“	35	29	547
„ნიუ-იორკი“	32	33	492
„ვაშინგტონი“	23	41	359
„ნიუ ჯერსი“	21	44	323
„მაიამი“	20	45	308

ცენტრალური დივიზიონი

„ჩიკაგო“	48	15	762
„დეტროიტი“	41	25	621
„მილუოკი“	39	27	591
„ატლანტა“	36	29	554
„ინდიანა“	32	33	492
„კლივლენდი“	23	41	359
„შარლოტა“	19	45	297

იხ. მე-4 გვ.

„სპეშიალ ოლიმპიკსი“ — კომიტეტი საქართველოში

გაიმართა საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის რიგგარეშე კონფერენცია, რომელზეც დაფუძნდა მსოფლიო ორგანიზაციის „სპეშიალ ოლიმპიკსის“ რესპუბლიკური კომიტეტი.

ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ძნელაძე დამსწრეთ ესაუბრა როგორც „სპეშიალ ოლიმპიკსის“ მსოფლიო ორგანიზაციის მნიშვნელობაზე. ასევე მისი რესპუბლიკური ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობაზე.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ „სპეშიალ ოლიმპიკსის“ რესპუბლიკური კომიტეტის არსებობა და მისი სიცოცხლისუნარიანობა მარტო ინვალიდთა საქმე როდია. საჭიროა რესპუბლიკის სხვადასხვა უწყებათა ხელშეწყობა. განათლების, სპორტის, ჯანდაცვისა და სხვა რესპუბლიკური უწყებების ხელმძღვანელებმა დახმარება აღუთქვეს ახალდაარსებულ კომიტეტს.

„სპეშიალ ოლიმპიკსის“ საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს თემურ მიქიაშვილი, სპორტულ დირექტორად ვალენტინ ლაბუნსკი, სამედიცინო კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობენ ანნა ღვინიაშვილი.

ტაისონ-რუდოლფის ბრძოლა ცისფერ ეკრანზე

იგი დღეს შედგება აშშ-ში და დღესვე გადმოიცემა ცენტრალური ტელევიზიის პირველი პროგრამით 22 საათსა და 30 წუთზე. მაინც ტაისონი იბრძვის, რომ დაიბრუნოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული სუპერმძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა შორის. ამ ეტაპზე მისი მეტოქეა კანადელი დონოვან რუდოლფი, როგორც ამბობენ, საკმაოდ ძლიერი მოკრივე.

ერთი მარცხი და ერთი ფრე

ხარკოვი. აქ მიმდინარე წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში თბილისის დინამოელებმა ერთი შეხვედრა ლვოვის თანაკლუბელებთან საკმაოდ დიდი ანგარიშით წააგეს — 6:12, მეორეკი, მოსკოვის „ტორპედოსთან“ ფრედ, 11:11 დაამთავრეს. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისელებმა ძალზე სუსტად ჩაატარეს მოსკოველებთან შეხვედრის პირველი პერიოდი — 1:4. მეორე პერიოდის შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა, ვინაიდან მეტოქეებმა ერთმანეთის კარში ორ-ორი გოლი გაიტანეს. სამაგიეროდ „დინამომ“ ჩინებულად ითამაშა მესამე პერიოდში, გაიტანა 5 ბურთი, საკუთარში კი მხოლოდ ერთი მიიღო. სამი პერიოდის შემდეგ თბილისელები წინ იყვნენ ერთი ბურთით — 8:7, მაგრამ ავტოქარხნელებმა მეოთხე პერიოდში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება - და ეს საინტერესო შეხვედრა ფრედ დამთავრდა (1:4, 2:2, 5:1, 3:4).

სხვა მატჩები: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 10:11, ცსკ სსფ — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 16:11, „დინამო“ (ალმა-ათა) —ცსკ სსფ 13:18, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (ლვოვი) 4:10.

ჩემპიონი — მეორე ადგილზე

ექსჩემპიონი — მერვეზე

ლინარესი. მოქადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე სუპერტურნირის ბოლო ტურის შეხვედრები ასეთი შედეგებით დასრულდა: ბორის გელფანდი — მიხეილ გურევიჩი 0:1, იან ტიმანი (ჰოლანდია) — ვასილი ივანჩუკი 0,5:0,5, გარი კასპაროვი — არტურ იუსუპოვი 0,5:0,5, ჯონათან სპილმენი (დიდი ბრიტანეთი) — ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) 0,5:0,5, ვალერი სალოვი — ვიშვანატან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5, გატა კამსკი (აშშ) —იან ელვესტი 1:0, ანატოლი კარპოვი — ალექსანდრე ბელიავსკი 1:0.

საბოლოოდ, ადგილები ასე განაწილდა: ივანჩუკი — 9,5 ქულა (13 შესაძლებლიდან), კასპაროვი — 9, ბელიავსკი —. 8, სპილმენი და იუსუპოვი — 7,5:7,5, სალოვი — 7, ტიმანი და კარპოვი — 6,5-6,5, ანანდი, გურევიჩი, ლიუბოევიჩი — 6-6, გელფანდი — 5,5, ელვესტი — 3,5, კამსკი — 2,5.

პროგლეიბს ერთიგლივად უფრო ეოვერეკვით

ინფორმაციის მასობრივი საშუალებების წარმომადგენელთა შეხვედრა სპორტის ხელმძღვანელ მუშაკებთან ორმხრივ სასარგებლო ღონისძიებაა. ეს არაერთხელ დადასტურებულა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თაოსნობით რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის თავკაცებთან თუ ჩამოსულ სტუმრებთან გამართულ ასეთ შეხვედრებზე. ამჯერად საქმეში ჩაერთო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რგოლი — თბილისის სპორტკომიტეტი. მისი თავმჯდომარის ვლადიმერ კანკავის თაოსნობით ამ დღეებში მოეწყო დედაქალაქის სპორტის მუშაკებისა და ჟურნალისტების პირველი შეხვედრა.

თბილისი ქართული სპორტის ეპიცენტრია, ამიტომ, რაღა თქმა უნდა, აქ პრობლემაც უამრავია. ვისთან შეიძლება ითქვას ამ პრობლემებზე, თუ არა, პირველ ყოვლისა, ჟურნალისტებთან? და ითქვა კიდეც. მაგრამ იყო საუბარი სხვა საკითხებზეც. კერძოდ, შეეხნენ ჟურნალისტების პრობლემებსაც. ურთიერთობა ცალმხრივი ხომ არ იქნება. არადა, სპორტულ ჟურნალისტებსაც აქვთ თავიანთი პრობლემები.

ასეთი შეხვედრები თბილისის სპორტკომიტეტში კვლავაც ჩატარდება.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ჩვენი ისტორია

ველოსპორტი ქუთაისში

XX საუკუნის დასაწყისამდე ველოსიპედი ქუთაისელებისთვის უცხო ხილი იყო და მასზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. 1912 წელს ყოფილი მიხაილოვის (დღეს ფალიაშვილის) ქუჩაზე გაიხსნა ვალოდია ტერკის საფირმო მაღაზია-სახელოსნო. საყურადღებოა, რომ მაღაზიის პატრონს რუსეთიდან ჩამოჰქონდა უცხოური ფირმის ველოსიპედები, რომელთა შეძენა ბევრს არ შეეძლო, მაგრამ იყო ერთი გამოსავალი — მაღაზია ახდენდა ველოსიპედების გაქირავებას სხვადასხვა ვადით, ცხადია, სათანადო გასამჯელოს ფასად.

მთავარი ის იყო, რომ თვით ვალოდია ტერკი დიდ პოპულარობას უწევდა ველოსპორტს და, რაც მთავარია, 1913-1918 წლებში მისი ინიციატივით ქუთაისში, საღორიის ტყის მიდამოებში, სისტემატურად ეწყობოდა ველოსიპედისტთა შეჯიბრებები.

1920 წლის მარტის პირველ ნახევარში ქუთაისში სპორტულ საზოგადოება „შევარდენთან“ ყალიბდება ველოსიპედისტთა სექცია, რომლის ჩამოყალიბების ინიციატორები იყვნენ ვლადიმერ აბზიანიძე და დათა ჯავრიშვილი. სექციის პირველი წევრები იყვნენ: გრიგოლ ქომეთიანი, შალვა თოფურია, ერეკლე ქავთარაძე, იაკობ ბნელიანი, არშაკ საყვარელიძე, სერგო მანაგაძე, შალვა ბახტაძე, მიხეილ ვაწაძე, ანდრო ზვიადაძე, სოსო ქომურჯაშვილი, სულ თხუთმეტი კაცი.

1920 წლის 9 მაისს ქუთაისში გამართულ დიდ სპორტულ ზეიმზე პირველად წარდგნენ მაყურებელთა წინაშე „შევარდენთან“ არსებული ველოსექციის წრის წევრები. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა მანძილზე რბოლაში, ასრულებდნენ რთულ და საინტერესო ნომრებს. ქუთათურები აღტაცებას ვერ ფარავდნენ და მჭუხარე ოვაციებს უმართავდნენ სპორტსმენებს. სულ ოთხჯერ გამოვიდნენ „შევარდენთან“ არსებულ ველოსექციის წევრები მაყურებლების წინაშე და ყოველთვის დიდძალი ხალხის თანდასწრებით. რაც მთავარია, ქუთაისელი ველოსიპედისტები აღარ კმაყოფილდებოდნენ ადგილობრივი ღონისძიებებით და აწყობდნენ მოგზაურობებს დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში.

1921 წლის ივნისის შუა რიცხვებში ქუთაისის ველოსიპედისტთა გუნდი, რომლის რიგებში იყვნენ ვ. აბზიანიძე, ბ. ელიგულაშვილი, კ. ქავთარაძე, გ. ქომეთიანი და შ. ბახტაძე, სტუმრად ეწვივნენ მზიურ აჭარას. ვეტერანი სპორტსმენი გ. ქომეთიანი იხსენებს: „ბათუმში ჩვენ გამოვდიოდით თამარის ციხის მიდამოებში. დიდძალი ხალხი მოვიდა ღონისძიების სანახავად. მაყურებლებს სხვადასხვა საინტერესო ნომრები ვუჩვენეთ, ხოლო შემდეგ ურთიერთშორის შეჯიბრი მოვაწყვეთ“.

1922 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება რესპუბლიკაში სპორტული საზოგადოებების „შევარდენის“, „სკაუტის“, „სოკოლის“ დაშლისა და მათ ნაცვლად „სპარტაკის“ დაარსების შესახებ.

მართალია, იმ პერიოდში ქუთაისის ველოსექცია დაიშალა და მისი წრის წევრების დიდმა ნაწილმა სასწავლებლად დედაქალაქს მიაშურა, მაგრამ, საბედნიეროდ, ქალაქში ველოსიპედისტთა საქმიანობა ამით არ ამოწურულა. სასწავლებლებთან თუ წარმოება-დაწესებულებებთან ჩამოყალიბდა პირველი სპორტული წრეები და მათ შორის ვეძიებებმა. მომავალი პედაგოგები ხშირად მოგზაურობდნენ დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, ხვდებოდნენ მოსახლეობას, ატარებდნენ ლექცია-საუბრებს მათთვის აქტუალურ თემებზე და, რაც მთავარია, ფიზიკური წრთობის, გაჯანსაღების, გაჯანმრთელების ნამდვილი პროპაგანდისტები იყვნენ.

1938 წლის 30 სექტემბერს ინსტიტუტის 30-კაციანმა ჯგუფმა მოაწყო ველოგადარბენა მარშრუტით: ქუთაისი-წულუკიძე-სამტრედია-ქუთაისი. ვეტერანი სპორტსმენი ა. თვალავაძე იგონებს: „პედაგოგიური ინსტიტუტის ველოსექციის წრის წევრები ხშირად ვაწყობდით მასობრივ გადარბენებს, რომელიც ჩვენთვის დიდ სპორტულ ზეიმს წარმოადგენდა. რაც მთავარია ხელს ვუწყობდით ველოსპორტის პროპაგანდას მოსახლეობაში“.

1920 წელი. ქუთაისის სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ პირველი ველოსექცია.

საყურადღებოა, რომ ამგვარ ველოგადარბენებს სისტემატურად აწყობდნენ ქალაქის სასწავლებლები თუ წარმოება-დაწესებულებები. გაზეთ „ინდუსტრირებულ ქუთაისის“ ცნობით, 1938 წლის 3-8 სექტემბერს აბრეშუმკომბინატის ველოსექციამ მოაწყო ველოგადარბენა მარშრუტით — ქუთაისი-სოხუმი-ქუთაისი, რომელშიც კომბინატის მუშა სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

1939 წლის 27 ივლისს რაჭა-ლეჩხუმის გზაზე ჩატარდა საქალაქო პირველობა ველოსპორტში. გათამაშებაში მონაწილეობდნენ „პიშჩევიკის“, „პროლეტარული გამარჯვების“, „მკერავის“, „დინამოს“ სპორტსკოლისა და სოფელ ოფშკვითის კოლმეურნეობის სპორტსმენები. სტარტზე 30-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა. საერთო გუნდური პირველი ადგილი არავის დაუთმო „პიშჩევიკის“ გუნდმა. საინტერესოდ ჩატარდა პირადი პირველობა ვაჟთა შორის 20 კმ-ზე რბოლაში. პირველი იყო დ. ბაბუნაშვილი, მეორე და მესამე ადგილები წილად ხვდათ ს. ოქრომჭედლიშვილს და შ. შალამბერიძეს.

ქალთა შორის ჩატარდა რბოლა 10 კილომეტრზე. გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ავიდნენ მ. განაევი, ლ. პაშისინა და ა. ჩანგავაძე.

ომისწინა წლებში ველოსპორტსმენთა ძლიერი გუნდები ჰყავდათ საკონსერვო ქარხანას, სამკერვალო ფაბრიკას, სალოკომოტივო დეპოს, აბრეშუმკომბინატს.

1946 წელს ქუთაისის ტყავფეხსაცმლების კომბინატის № 2 ბრიგადის თავკაცი დ. ბაბუნაშვილი მიწვეული იყო მინსკში „კრასნოე ზნამიას“ ნაკრები გუნდის საკავშირო შეკრებაზე. სამწუხაროდ, კომბინატის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო მოწინავე ბრიგადირის სამი თვით განთავისუფლება.

ერთ დროს, ველოსიპედისტთა ძლიერი გუნდი ჰყავდა საავტომობილო ქარხანას — ავტოქარხნელი ველოსიპედისტები ხშირად ასპარეზობდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში.

სოხუმში მოეწყო რესპუბლიკის პირველი სპარტაკიადის პროგრამით გათამაშებული საქართველოს პირველი გუნდური პირველობა ველოსპორტში, სადაც ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტსმენებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

ამავე პერიოდში თბილისში ჩატარებულ ველოსიპედისტთა რესპუბლიკურ პირველობაზე ტრეკზე მოსასპარეზე სპორტსმენთა შორის ქუთაისელებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქუთაისში ველოტრეკი მაშინ კი არა, დღესაც ოცნების საგანს წარმოადგენს, დაგვეთანხმებით, რომ ქუთაისელთა მიღწევა დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

ქუთაისელ ველოსიპედისტთა აღიარება დაიწყო 60-იანი წლებიდან, როცა რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით გამოდიოდნენ ე. ბირიუკოვი და ა. მარჩენკო. 1958-1962 წლებში ე. ბირიუკოვს არაერთხელ უსახელებია თავი რესპუბლიკურ მრავალდღიან საგზატკეცილო რბოლაში და წლების მანძილზე სათავეში ედგა საქართველოს უძლიერეს ველოსიპედისტებს, რაც შეეხება ა. მარჩენკოს, მასაც მრავალ ტურნირში უსახელებია თავი. 1964-1966 წლებში, გდრ-ში სამხედრო სამსახურის პერიოდში, ქუთაისელ სპორტსმენს გაუმარჯვია სოციალისტური ქვეყნების შეიარაღებული ძალების ველოსიპედისტთა ტურნირებში. 1968 წელს ა. მარჩენკომ პირველი ადგილი დაიკავა ლენინგრადში გამართულ დიდ საკავშირო ტურნირში.

ცოტა უფრო გვიან, ქართული სპორტის ცის კამადონზე ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა სახელოვანი თანამოქალაქის, მსოფლიოს 1965 წლის ჩემპიონისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის პრიზიორის, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელის, საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონის და მრავალ სხვა საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნეებში გამარჯვებულის ომარ ფხაკაძის სახით, რომელმაც მართლაც რომ, მთელი ეპოქა შექმნა საბჭოთა ველოსპორტის ისტორიაში.

წლების მანძილზე ქუთაისელ ველოსპორტსმენთა აღზრდისა და დოსტატების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ჯ. მეფისაშვილს, რომელიც დაუღალავად შრომობდა ველოსპორტის განვითარების საქმეში.

ცხადია, დაგვეთანხმებით, ქუთაისელმა ველოსიპედისტებმა ნათელი კვალი დაჩნიეს საქართველოს სპორტის მდიდარ ისტორიას.

ზურაბ ჯავახაძე

ინფორმაცია

ბოჰადრაკე ვაჟთა საქართველოს პირველობის პირველი ლიგის ტურნირში 5 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში 3 მოჭადრაკეა —ხვიჩა სუპატაშვილი (ქუთაისი), რევაზ ყაკაბაძე და ფილიპ პირაევი (ორივე— თბილისი). მათ 4-4 ქულა აქვთ. ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან გიზო ჭურღულია (ზუგდიდი), რომან სიჭინავა (სენაკი), შოთა კუპუხიძე (ქუთაისი) და კახა ხაბურზანია (თბილისი).

ვასილ ვაშაკიძე

„ლელოს“ სპეც. კორ.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„ცხუმი“ (სოხუმი) — „სამგურალი“ (ფუალტუბო) 0:0

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 16 მარტი.

„ცხუმი“: ჟორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, კურგენიანი, მალანია, ჯეჯელავა (გოგიაშვილი), ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, ცაავა, გაბისკირია.

„სამგურალი“: მიქაძე, ვ. მუშკუდიანი, გოგელიძე, ჭელიძე, ვ. ფეხტვენიძე, რ. იობიძე, ცნობილაძე, ი. სიჭინავა (ჭ. იობიძე), ბუაონი (ზ. იონანიძე), ბაბუნიძე, ჩიხლაძე.

მსაჯები: გ. სეფიაშვილი, გ. ხეჩუაშვილი (ორივე — თბილისი), ი. რაზმაძე (გორი).

გაფრთხილეს: ვ. ფეხტვენიძე („სამგურალი“)

მიუხედავად დაძაბული სახოგადოებრივი ვითარებისა, სოხუმში მეორე ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩზე დაახლოებით 5 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი. შეხვედრის წინ მაყურებლებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ქართული სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელის ნოდარ ქავთარაძის ხსოვნას, რომელიც ამ დღეებში დაიღუპა და ამიტომ ხაზეიმო გახსნის ცერემონიალი მატჩის წინ არ გამართულა. ტრადიციისამებრ, ორივე გუნდის კაპიტნებმა აღმართეს ეროვნული დროშა, გაისმა საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნი.

პირველი ტაიმი სოხუმელთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს მალანიამ, გოგრიჭიანმა, ჯიშკარიანმა, აქტიურობდა გამოცდილი ცაავა, რომელმაც ამ დღეს პირველი ოფიციალური მატჩი ითამაშა „ცხუმის“ შემადგენლობაში.

მეორე ტაიმის დასაწყისში წყალტუბოელებმა განახორციელეს რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა, 59-ე წუთზე ჩიხლაძეს ძლიერი დარტყმა სოხუმელთა კარის ძელმა „მოიგერია“, საიმედოდ თამაშობდა მასპინძელთა მეკარე ჟორჟოლიანი.

მატჩის ბოლო 20 წუთი კვლავ სოხუმელთა გამუდმებული იერიშებით წარიმართა, მაგრამ ვერც გოგრიჭიანმა, ვერც გაბისკირიამ და ვერც მალანიამ ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა — წყალტუბოელთა კარის დარაჯმა მიქაძემ მართლაც კარგად გაართვა თავი საქმეს.

0:0 — ასე დამთავრდა ეს მატჩი, მაგრამ ნულოვანი შედეგი სრულად როდი გამოხატავს ამ მატჩის „შინაარსს“ — მაყურებელმა მადლობის ნიშნად ტაშით გააცილა ორივე გუნდის ფეხბურთელები ლამაზი, შემტევი და კომბინაციური თამაშისათვის.

თენგიზ პაჭკორია,
„ლელოს“ საკ. კორ.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 3:1 (1:0).

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 16 მარტი.

„გურია“: ქანთარია, ტყეებუჩავა, მიქაბერიძე, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ბარათაშვილი, მეგრელაძე, კორლალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.

„მარგვეთი“: დევაძე, ბებიაშვილი, გურიელიძე, ღონღაძე, ლაცაბიძე, გაბრიჭიძე, ინიაშვილი, ავრამიდისი (ღონღაძე), ჯუღელი, კიკნაძე, კერძევაძე (ფოცხვერაშვილი).

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი).

გაფრთხილეს გ. ტყეებუჩავა.

მატჩის დასაწყისი მოულოდნელი აღმოჩნდა: ჩემპიონატის დებიუტანტები არ შეუშინდნენ ტიტულოვან მეტოქეს, დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში თავად „კარნახობდნენ პირობებს“ მასპინძლებს და რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს „გურიის“ კარს. მდგომარეობა მალე გათანაბრდა, მე-16 წუთიდან კი საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა ხელთ იგდო თამაშის სადავეები და აშკარა უპირატესობას მატჩის ბოლომდე ფლობდა. პირველი სახიფათო მომენტი „მარგვეთის“ კართან უგრელიძემ შექმნა — მან ვარდნაში, ე. წ. „მაკრატელათი“ დაარტყა, მაგრამ ჩინებულად ითამაშა დევაძემ. 30-ე წუთზე ტყეებუჩავას მართლაც რომ ყუმბარისებურმა დარტყმამ შეაზანზარა სტუმრების კარის ძელი. „გურიის“ იერიშები სულ უფრო ორგანიზებული ხდებოდა, ზესტაფონელებს გამუდმებით საკუთარ საჯარიმოში უწევდათ ტრიალი, მაგრამ საფრთხე მაინც ვერ აიცილეს — პირველი ტაიმის მიწურულს დანელიას ერთ-ერთ გარღვევას და ზუსტ ჩაწოდებას კარგი გაგრძელება მოუძებნეს ჯერ კორლალიძემ, შემდეგ მეგრელაძემ, რომლის მიერ დარტყმული ბურთის მოგერიება დევაძემ ვერ შეძლო. მეორე ტაიმის დასაწყისში თავდაცვით „დაკავებულმა“ მარგვეთელებმა მაინც მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. —54-ე წუთზე ერთ-ერთი საჯარიმო დარტყმის შემდეგ ავრამიდისმა დაასწრო მეტოქეთა მცველებს. ამის შემდეგ ლანჩხუთელთა შეტევები, ცხადია, გამძაფრდა და შეხვედრის მიწურულს შედეგიც გამოიღო — მეგრელაძის ხელშეწყობით უგრელიძემ კიდევ ორი ბურთი გაიტანა ზესტაფონელთა კარში.

აღსანიშნავია, რომ. „გურიამ“ ამ მატჩში სამი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ითამაშა — კეტაშვილმა, გუჯაბიძემ და აფციაურმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლეს მინდორზე გამოსვლა.

გოჩა ვასაძე,
მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.

„გორდა“ (რუსთავი) — „სულორი“ (ვანი) 2:0 (0:0).

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 16 მარტი.

„გორდა“: ქორიძე, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე.

„სულორი“: ერემეიშვილი, კანკაძე, გ. ვერულაშვილი, ზენაიშვილი, ძაგნიძე (კ. დვალიშვილი), ორმოცაძე, გ. ბრეგვაძე (ნ. დვალიშვილი), ბუიშვილი, არველაძე, ჯ. ვერულაშვილი, გ. ბრეგვაძე.

მსაჯები: ე. სილაგავა, ვ. ეჯიბია, ვ. ხეჩოიანი — (სამივე — თბილისი).

საგაზაფხულო ჩემპიონატის პირველმა მატჩმა გასული წლის ბრინჯაოს პრიზიორს რუსთავის „გორდასა“ და უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტს ვანის „სულორს“ შორის. რუსთაველ გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია.

„გორდა“ თავიდანვე განუწყვეტლივ უტევდა, „სულორს“ კი დაცვითი ტაქტიკა ჰქონდა არჩეული.

მე-7 და მე-9 წუთებზე გოლის გატანის ხელსაყრელი შესაძლებლობები ჰქონდათ ფანცულაიას და მიქაშავიძეს, მაგრამ პირველ შემთხვევაში „სულორის“ მეკარემ ითამაშა კარგად, მეორეში კი მიქაშავიძის ახლოდან დარტყმული ბურთი ასცდა მიზანს.

ვანელებმა პირველ ტაიმში შეძლეს დასახული გეგმის განხორციელება, მეორე ტაიმში ბოლოს და ბოლოს ოსტატობამ თავისი ქნა — 56-ე წუთზე მიქაშავიძემ გახსნა ანგარიში. იმავე წუთზე ვანელებსაც შეეძლოთ ბურთის გატანა — „გორდას“ მცველთა შეცდომის შემდეგ გ. ბრეგვაძემ ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. ამის შემდეგ ვანელები უფრო გაბედულად ამოქმედდნენ და თუ პირველ ტაიმში „გორდას“ მეკარე ქორიძე, ფაქტობრივად არც „ჩარეულა“ თამაშში, ახლა მას ხშირად უხდებოდა ოსტატობის გამოჩენა. შეხვედრის მე-80 წუთზე ფანცულაიამ მეორე ბურთი გაგზავნა „სულორის“ კარში — 2:0, ამ ანგარიშით გაიმარჯვა „გორდამ“.

რაუდენ გაბრიჭიძე,
„ლელოს“ საკ. კორ.

ეს ჩვენი დღევანდელობაა — ეროვნული ჩემპიონატის მატჩს ეროვნულ სტადიონზე უცხოტომელ ჭარისკაცთა ნაცვლად, ეროვნული გვარდიის წარმომადგენლები ესწრე ბოდნენ.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

„გორდა“ — „სულორი“. რაუდენ გაბრიჭიძის ფოტო.

„ოლიმპი-1918“ (ფოთი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 3:1 (1:1)

ფოთი. „ფაზისის“ სტადიონი. 16 მარტი.

„ოლიმპი-1918“: გვახალია, გენძეხაძე, ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია, მახარაძე (ქაჯაჩია), ტორჩინავა (ბაჯალაძე), თვარაძე, ჭობალია.

„შევარდენი-1906“: დოლიძე, ელიავშვილი, სამხარაძე, ჩადუნელი, მენთეშაშვილი, კოპალეიშვილი, ბაკურაძე, შალამბერიძე, უიფანი (ყულიაშვილი), ჭობელაშვილი, მინაშვილი.

მსაჯები: ჟ. შელია, რ. ჩიქოვანი, ხ. პრავოვი (სამივე — გაგრა).

თამაშის დასაწყისი ნელ ტემპში წარიმართა, თუმცა, ფოთელები ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ინიციატივა. მე-15 წუთზე მათ საწადელს მიაღწიეს — თოფურიას მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი სტუმართა კარში გაგზავნა მახარაძემ. გატანილი გოლის შემდეგ ფოთელები ერთგვარად მოდუნდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა —ჭობელაშვილმა ისარგებლა მასპინძელთა უყურადღებობით და გაქვითა ანგარიში.

შეხვედრის მეორე ნახევარში მეტოქეებმა უფრო აქტიურად ითამაშეს, ანგარიშის გაზრდის კარგი შესაძლებლობები ჰქონდათ გენძეხაძესა და თოფურიას, მაგრამ მათ სტუმართა მეკარემ „შეუშალა ხელი“. თბილისელებმა მთელი თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და არაერთი სახიფათო მომენტიც შექმნეს მასპინძელთა კართან. მატჩის მიწურულს ისევ ფოთელებმა იმარჯვეს: 72-ე წუთზე თვარაძემ პირდაპირ კუთხურიდან გაიტანა ბურთი შევარდნელთა კარში. მოსალოდნელმა გამარჯვებამ ფოთელები გაათამამა, განსაკუთრებით სახიფათოდ უტევდა გიორგაძე, რომელმაც ოთხი წუთის შემდეგ თავური დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა.

გელა გიორგაძე
„ლელოს“ საკ. კორ.

„ბათუმი“ (ბათუმი) — „ივერია“ (ხაშური) 3:0 (3:0).

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 16 მარტი.

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტაძე, მჭედლიშვილი, შუყილაძე, კიკლიაშვილი, შანიძე, მ. მახარაძე, ბრუნჯაძე (ი. მახარაძე), ჩახუაშვილი (ხომერიკი), ტულუში, კიურჯიევი.

„ივერია“: ბრაუნისი, კისელიოვი, ცხოვრებაშვილი, ფალრაძე, ჭანგუა, რიძე, ხარაზიშვილი; ქიმერიძე, კვანტალიანი, თევზაძე, ჭინჭარაული (ტეფნაძე), რობაქიძე.

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი), ო. გაგუა, დ. სანაია (ორივე — ხოხუმი).

მატჩის დღეს ბათუმში, როგორც იქნა, გამოიდარა და მშვენიერი სათამაშო ამინდი დადგა. სტადიონზე მოსულ გულშემატკივრებს ფეხბურთელებმა ლამაზი, გააზრებული თამაში უჩვენეს. ხაშურელები წელს გაცილებით უფრო მობილურად, გამოიყურებოდნენ, მათ თავიდანვე ტოლი არაფერში დაუდეს უფრო გამოცდილ ბათუმელებს და უკვე მე-8 წუთზე შექმნეს კიდეც სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან, მაგრამ კისელიოვის ძლიერი დარტყმა ძელს მოხვდა. მასპინძლებმა შეტევას შეტევით უპასუხეს, მარცხენა ფრთაზე განსაკუთრებით აქტიურობდა გუნდის დებიუტანტი ციურჯიევი, სწორედ მისი გარღვევის შემდეგ მეკარესთან პირისპირ გასული მახარაძე სტუმრებმა საჯარიმო მოედანზე მოცელეს. პენალტი ეკვს არ იწვევდა „დაზარალებულმაც“ ზუსტად დაარტყა (1:0).

ბათუმელებმა ამის შემდეგაც განახორციელეს რამდენიმე სახიფათო იერიში. 26-ე წუთზე მშვენიერი კომბინაცია გაითამაშეს ტულუშმა და მ. მახარაძემ. ამ უკანასკნელმა კარგად ჩააწოდა საჯარიმო მოედანში და ამჯერად ბათუმელთა მეორე დებიუტანტმა — ნასუაშვილმა იყოჩაღა — მან თავური დარტყმით მეორედ აიღო ხაშურელთა კარი. ტაიმის მიწურულს კვლავ კარგად ითამაშა ტულუშმა და მისი ზუსტი გადაცემა ნასუაშვილმა კვლავ ზუსტი თავური დარტყმით დააგვირგვინა — 3:0.

შესვენების შემდეგ ანგარიშში სხვაობის შემცირების ორი ხელსაყრელი შესაძლებლობა დაკარგეს სტუმრებმა — ერთხელ მეკარე ბალაძემ ივარგა, მეორედ კი ხარაზიშვილმა გაუშვა ხელიდან გოლის გატანის რეალური შანსი. ბათუმელებსაც ჰქონდათ ანგარიშის გახრდის შესაძლებლობა, მაგრამ ოსტატურად თამაშობდა მეკარე ბრაუნისი.

მუხრან კობალაძე,
„ლელოს“ საკ. კორ.

ტურის სხვა შედეგები: „დილა“ (გორი) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:3, „მერცხალი“ (ოზურგეთი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 1:2, „ოდიში“ (ზუგდიდი) — „მზიური“ (გალი) 3:0, „ერეთიანი“ (ქუთაისი) — „ამირანი“ (ონამჩირე) 2:0.

პრიზი უველაზე კორექტული ფეხბურთელისათვის

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის ბორჯომის რაიონული – ორგანიზაციი აწესებს პრიზს საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში მოსასპარეზე იმ კორექტული ფეხბურთელისათვის, ვინც ისე ჩაატარებს სეზონს, რომ არც ერთხელ არ დააშავებს მეტოქეს.

რ. კუკულავა.

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის ბორჯომის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „კახეთი“ (თელავი) — „ეგრისი“ (სენაკი) 3:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „მრეტები“ (თბილისი) 0:1, „იმერეთი“ (ხონი) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 0:1, „ქართლი“ (გორის რაიონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0, „შუქურა“ (ქობულეთი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:0, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 4:1, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „არმაზი“ (მცხეთა) 0:0, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „სიონი“ (ბოლნისი) 4:1.

დაიბეჭდა და... უმალვე გაიყიდა

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის წინ გულშემატკივრებმა ოპერატიულად მიიღეს ქართულ ენაზე დასტამბული ცნობარი „საქართველოს 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატი ფეხბურთში“. წლევანდელი ჩემპიონატის დებულების გარდა, ცნობარში დაბეჭდილია კალენდარი, პირველი ჩემპიონის — თბილისის „იბერიას“ ფოტო გალერეა, აქვე გაეცნობით შარშანდელი ჩემპიონატის ლაურეატებს, თასის გათამაშების შედეგებს, ამონაწერებს სადისციპლინო კოდექსიდან, მასალებს ქალთა ფეხბურთზე... ყურადღებას იქცევს ნოდარ ახალკაცის წერილი: „ზორს აღარ არის ის დღე, როცა ფიფა-ს წევრები გავხდებით“.

ცნობარის ავტორი-შემდგენელია ოლეგ გველესიანი, რედაქტორი ვაჟა ელენტი, მხატვარი არსენ ბერძენიშვილი. დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში. საგულისხმოა, რომ მთელი ტირაჟი — 10 ათასი ეგზემპლარი მთლიანად ჩემპიონატის გახსნის დღეს გაიყიდა თბილისში. იქნებ ეს ცნობარი განმეორებით დაისტამბოს, სხვა ქალაქებისა და რაიონების გულშემატკივრებმა რა დაუშავეს?

დიდ რინგზე მხოლოდ პროფესიონალები შეაბიჯებენ

17-18 წლის უმაწვილ მოკრივეზე ახალბედა ალარ ითქმის და, როგორც იტყვიან, იგი დიდი კრივიხთვისაა შედერებული. რინგს სამოლოოდ მხოლოდ რჩეულები თუ შემორჩებიან, ისინი, ვინც პროფესიონალიზმის დონემდე ამაღლდებიან.

ამ დღეებში ერთი ასეთი „საკვალიფიკაციო“ ასპარეზობა — იუნიორთა საკავშირო პირველობა გაიმართა სარატოვში, სადაც წარმატებით გაიარეს გამოცდა საქართველოს წარგზავნილებმა.

ხუთი გამარჯვებული და ერთი ორე პრიზიორი, არაოფიციალურ ათვლაში პირველი გუნდური ადგილი — ასეთია ჩვენი მოკრივეების შედეგები. გაეცანით გამარჯვებულებს: კობა გოგოლაძე (54 კგ, „შევარდენი“, ფოთი, მწვრთნელი ნ. ელანტიაშვილი), პაატა გვასალია (57 კგ; „შევარდენი“, ფოთი, მწვრთნელი ს. კულუა); ილია ფაროიანი (63,5 კგ; „მართვე“, თბილისი, მწვრთნელი დ. შიუკაშვილი); გიორგი კანდელაკი (91 კგ; „მართვე“, გორი, მწვრთნელი ა. შოშიაშვილი და რ. კვაჭაძე); ზურაბ სარსანია (+91 კგ; „შევარდენი“, ფოთი, მწვრთნელი ზ. ანთია). მეორე ადგილზე გავიდა თემურ გოლეთიანი (63,5 კგ; „მართვე“; ქუთაისი, მწვრთნელი რ. ნიკოლაძე).

პაატა გვასალიას, რომელიც უკვე ევროპის ჩემპიონი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია, საუკეთესო ტექნიკისათვის გადაეცა საგანგებო პრიზი.



სურათზე: მარცხნიდან — პაატა გვასალია, გიორგი კანდელაკი, ზურაბ სარსანია, კობა გოგოლაძე.

„სპორტლოტო“

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1991 წლის მე-11 და „სუპერტირაჟის“ გათამაშება.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 3 (ბობსლეი), 6 (ძიუდო), 21 (ცურვა), 25 (საცეგაო სპორტი), 27 (მშვილდოსნობა), 39 (ბადმინტონი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 3 (ბობსლეი), 11 (ფრენბურთი), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 18 (მძლეოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

„სუპერტირაჟი“: 3 (ბობსლეი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 16 (ცხენოსნობა), 17 (საციგურაო სპორტი), 29 (სასტენდო სროლა).

„სპორტპროგნოზი“

მე-11 ტირაჟის შედეგები

(15-17 მარტი)

1—1, 2—2, 3—X, 4—2, 5—2, 6—2, 7—X, 8—2, 9—2, 10—1, 11—X, 12—X, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

მს-მსაჯ შევიტყვეთ...

(დასასრული)

ასავლეთის კონფერენცია

ა-დასავლეთის დივიზიონი

...ტა“	42	22	656
...ნ ანტონიო“	41	22	651
...უსტონი“	40	24	625
...ლასი“	23	40	365
...რლანდო“	21	42	333
...ნეესოტა“	21	42	333
...ენვერი“	18	46	281

წუნარი ოკეანის დივიზიონი

...ორტლენდი“	47	17	734
...ლ-ა. ლეიკერსი“	47	18	723
...ფენიქსი“	44	20	688
...ოლდენ სტეიტი“	34	30	531
...სიეტლი“	30	34	469
...ლ-ა. კლიპერსი“	23	42	354
...საკრამენტო“	18	44	290

ფეხბურთი

შაბათ-კვირა ევროპაში ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატების ...ეები იყო.

იტალია

ლიდერთა დუეტი დაიშალა

ოცდამეხუთე ტურში ჩემპიონატის ორივე ლიდერს — „ინტერნაციონალესაც“ და „სამპდორიასაც“ გასვლითი მატჩები ჰქონდა. „ინტერმა“ შეხვედრა „პარმასთან“ რის ...ვაი-ვაგლახით ფრედ (0:0) დაამთავრა, აი, „სამპდორიამ“ კი დიდი ანგარიშით დაამარცხა „პიზა“ — 3:0.

კიდევ ერთ პოტენციურ ლიდერს — „მილანს“ შეეძლო დასწეოდა „ინტერნაციონალეს“, მით უმეტეს, რომ შინ იღებდა „ატალანტას“, მაგრამ მოულოდნელად დამარცხდა მინიმალური სხვაობით — 0:1.

სხვა შეხვედრები დამთავრდა ასე: „ჩეზენა“ — „რომა“ 1:1, „ჯენოვა“ — „ფიორენტინა“ 3:2, „იუვენტუსი“ — „ბოლონია“ 1:1, „ლაციო“ — „კალიარი“ 1:1, „ლეჩე“ — „ტორინო“ 1:1, „ნაპოლი“ — „ბარი“ 1:0.

გათამაშების ცხრილი

	მ.	ფ.	წ.	ქ.
„სამპდორია“	15	7	3	37
„ინტერი“	14	8	3	36
„მილანი“	12	8	5	32
„ჯენოვა“	11	8	6	30
„იუვენტუსი“	10	9	6	29
„პარმა“	10	9	6	29
„ლაციო“	6	16	3	28
„ტორინო“	9	9	7	27
„რომა“	8	10	7	26
„ნაპოლი“	7	11	7	25
„ატალანტა“	7	10	8	24
„ბარი“	7	8	10	22
„ფიორენტინა“	5	11	9	21
„ლეჩე“	4	12	9	20
„კალიარი“	3	12	10	18
„პიზა“	6	5	14	17
„ბოლონია“	3	9	13	15
„ჩეზენა“	4	6	15	14

ესპანეთი

ვინ შეაჩერებს „ბარსელონას“?

26-ე ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა „ბარსელონამ“, რომელიც უახლოეს მეტოქეს 5 ქულით უსწრებდა, მორიგი გამარჯვება მოიპოვა „ოსასუნასთან“ 2:0. „ბარსელონა“ კვლავ 5 ქულითაა წინ, ვინაიდან უახლოესმა მდევარმა მადრიდის „ატლეტიკომაც“ ბოლო მატჩი მოიგო „სპორტინგთან“ 3:1. სხვათა შორის, „ბარსელონას“ ყველაზე კარგი თავდასხმა ჰყავს (უკვე გატანილი აქვს 60 გოლი), „ატლეტიკოს“ კი დაცვა (გუნდმა საკუთარ კარში მხოლოდ 11 გოლი მიიღო).

გთავაზობთ ტურის სხვა შედეგებს: „კასტელონი“ — „ატლეტიკო“ (ბილბაო) 2:0, „სევილია“ — „ტენერიფე“ 2:2, „მალიორკა“ — „ვალიადოლიდი“ 0:0. „სარაგოსა“ — „ბეტისი“ 2:0, „კადისი“ — „ვალენსია“ 0:0, „ლოგრონიესი“ — „რეალი“ (მადრიდი) 1:0, „სან-სებასტიანი“ — „ესპანიოლი“ 0:0. „ოვიედო“ — „ბერგოსი“. 1:0.

გათამაშების ცხრილი

	მ.	ფ.	წ.	ქ.
„ბარსელონა“	20	4	2	44
„ატლ.“ (მადრიდი)	15	9	2	39
„ოსასუნა“	11	9	6	31
„ვალენსია“	11	7	8	29
„სევილია“	12	5	9	29
„რეალი“ (მადრიდი)	12	4	10	28
„ლოგრონიესი“	10	8	8	28
„სპორტინგი“	9	9	8	27
„ოვიედო“	9	9	7	27
„სან-სებასტიანი“	7	11	8	25
„ესპანიოლი“	8	8	10	24
„ბერგოსი“	6	11	9	23
„სარაგოსა“	8	7	11	23
„ვალიადოლიდი“	6	10	10	22
„მალიორკა“	7	8	11	22
„კასტელონი“	6	10	10	22
„ტენერიფე“	8	5	13	21
„ატლ.“ (ბილბაო)	9	2	14	20
„კადისი“	4	10	12	18
„ბეტისი“	4	8	14	16

ბელგია

26-ე ტური. „სტანდარდი“ — „გენტი“ 2:0, „ბრიუგე“ — „ანდერლეხტი“ 2:0, „შარლერუა“ — „კურტრე“ 2:1, „ბეერშოტი“ — „ლიეჟი“ 0:1, „ლიერსი“ — „ეკერენი“ 0:2, „გენკი“ — „ლოკერენი“ 2:2, „მეხელენი“ — „სერკლი“ 3:2, „მოლენბეკი“ — „ანტვერპენი“ 2:0, „ვარეგემი“ — „სენტ ტრუდენი“ 3:1.

	თ.	ბ.	ქ.
„ანდერლეხტი“	26	59-20	39
„გენტი“	26	53-27	39
„ბრიუგე“	26	46-19	37
„მეხელენი“	26	43-23	37

ჰოლანდია

21-ე ტური. „როდა“ — „მვვ“ 1:0, „ვილემ II“ — „ფორტუნა“ 3:2, „ჰერენვენი“ — „ფეიენორდი“ 0:0, რკს — „ეინდჰოვენი“ 0:3, „დენ ჰაგი“ — ნეკ 1:1, „აიაქსი“ — „უტრეხტი“ 1:1, „სპარტა“ — „ვოლენდამი“ 1:2, სვვ — „გრონინგენი“ 0:1, „ვიტესი“ — „ტვენტე“ 1:0.

„ეინდჰოვენი“	20	54-12	33
„გრონინგენი“	21	39-20	30
„აიაქსი“	18	44-14	27

საფრანგეთი

30-ე ტური. „მონაკო“ — „კანი“ 0:0, „ოსერი“ — „ნიცა“ 5:1, „ბრესტი“ — „ნანტი“ 1:0, „რენი“ — „ლილი“ 1:3, „სენ ეერმენი“ — „ბორდო“ 1:0, „ტულონი“ — „კაენი“ 0:0, „სოშო“ — „ტულუზა“ 0:1.

„მარსელი“	29	53-20	43
„მონაკო“	30	35-23	38
„ოსერი“	30	48-28	37

საბერძნეთი

23-ე ტური. „ათინაიკოსი“ — „არისი“ 2:1, „ოლიმპიაკოსი“ — „პანიონისი“ 4:1, „ჰერაკლისი“ — „პანათინაიკოსი“ 0:2, „პანსერაიკოსი“ — აეკ 1:0, ოფი — პაოკ 0:0, „ლარისა“ — „დოქსა“ 2:1, „ლევადიაკოსი“ — „ქსანტი“ — 2:0, „პანაფაიკი“ — „იანინა“ 4:1, „აპოლონი“ — „იონიკოსი“ 1:0.

„პანათინაიკოსი“	23	49-16	33
„ოლიმპიაკოსი“	23	55-18	33
აეკ	23	38-16	29

პოლონეთი

„ლეგია“ — „გურნიკი“ 0:1, „ჰუტნიკი“ — „ვისლა“ 0:2, ლკს — „ოლიმპია“ 0:2, „იგლოპოლი“ — „მოტორი“ 0:0, „ლეხი“ — „ზაგლებიე“ (ლუბლინი) 2:1, გკს — „სლასკი“ 0:1, „ზაგლებიე“ (სოსნოვეცი) — „სტალი“ 1:1, „ზავიშა“ — „რუხი“ 1:0.

შვეიცარია

ფინალური ჯგუფი. „სერვეტი“ — „ლუგანო“ 2:0, „გრასჰოპერსი“ — „ლოზანა“ 0:1, „ქსამაქსი“ — „სიონი“ 1:1, „ლუცერნი“ — „იანგ ბოისი“ 1:1.

იუგოსლავია

„ვოივოდინა“ — „პროლეტერი“ 0:0, „სლობოდა“ — „ოლიმპია“ 0:1, „სპარტაკი“ — „ბუდუჩნოსტი“ 2:3, „სარაევო“ — „რიეკა“ 1:0, „ოსიეკი“ — „ბორაცი“ 2:0, „ჰაიდუკი“ — „ველეჟი“ 1:1, „დინამო“ — „პარტიზანი“ 0:0, „რადი“ — „რადნიჩკი“ 1:0, „ცრვენა ზვეზდა“ — „ეელეზნიჩარი“ 3:1.

ალბანეთი

„ფლამურტარი“ — „პარტიზანი“ 3:0, „17 ნენტორი“ — „აპოლონია“ 1:0, „ლოკომოტივი“ — „დინამო“ 2:0, „კასტრიოტი“ — „ლუფტერარი“ 1:0, „ტრაქტორი“ — „ვლაზნია“ 1:0, „ლაბინოტი“ — „ტომორი“ 1:0, „ბეხა“ — „სკენდერბეუ“ 2:1.

• • •

მიმოხილვა მომზადებულია „ინტერნეშნლ სპორტს ნიუსის“ მიხედვით. მასალები მივიღეთ საქართველოს ინფორმატიკისა და ტელეკომუნიკაციის ინსტიტუტთან თანამშრომლობით.

ევროპის ჩემპიონატი

გასულ ოთხშაბათს როტერდამში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ჰოლანდიისა და მალტის ნაკრებ გუნდებს შორის (VI ჯგუფი).

ამ ტურნირის პირველი შეხვედრა მალტელებმა თავიანთ მინდორზე წააგეს ანგარიშით 0:8 და, ამდენად, მეორე თამაშის შედეგი არავის აეკვეთება, მაგრამ მალტელებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს და ხოლოდ ანგარიშით 0:1 წააგეს. ეს რთადერთი გოლი 31-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა მარკო ვან ბასტენმა.

სტუმრები მთელი შეხვედრის განმავლობაში თავს იცავდნენ, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს ჰოლანდიელებმა რ. გულიტმა, მ. ვან ბასტენმა და სხვებმა.

ამჟამად VI ჯგუფში 7 ქულით 5 მატჩის შემდეგ ლიდერობენ პორტუგალიელები. ჰოლანდიის ნაკრებს 4 მატჩში 6 ქულა აქვს დაგროვილი. მომდევნო ადგილებზე არიან საბერძნეთის (4 ქულა), ფინეთისა (2) და მალტის (1) გუნდები.



გორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი, № 2)

21 მარტი • ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

„იბერია“ (თბილისი) — „ბურია“ (ლანჩხუთი)

დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე

მატჩის დამთავრების შემდეგ, ჩატარდება ნივთების ლატარია, გათამაშდება უკანასკნელი მოდელის იტალიური წარმოების ფირმა „ფიატ“, „ტიპოს“ ხუთი ავტომანქანა.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში, ყოველდღე, დილის 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე).

რედაქტორი

თენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისის შევარდენის სტადიონი

(ბ. ხმელნიცკის ქ. № 40)

20 მარტი

ფეხბურთი

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „ბათუმი“ (ბათუმი)

დასაწყისი 15 საათსა და 30 წუთზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 20 მარტს 10 საათიდან.

1991 წლის 1 მარტიდან ავტომანქანა „უიგული“ ვაზ-2109-ის ურიგოდ შეძენის უფლება ბილეთის მფლობელს ეძლევა მაშინ, თუ მოგება „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ ერთ ბილეთში შეადგენს არანაკლებ 10 000 მანეთისა. რაც შეეხება 10 ბილეთის რიგით ნომრებში დაგროვილ თანხას, ეს წესი აღარ მოქმედებს.

სპორტლოტო

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჭიპინაძე, კორექტორები: მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

...ენი მისამართი:
...ერილებისთვის — 380008
...ბილისი, ვ. კოტეტიშვილის, 14,
...ეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„ფერანი“ — 93-97-26, „მორიგე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალისტების გამომცემლობა „ხალხის ხმა“. 380008, თბილისი, ვ. კოტეტიშვილის, 14. ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ნიშნიანულის, 29.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20